ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ოქმი:**ო47. 47260683**

თარიღი:**09/03/2026**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 2

დ. ჩოხატაური 24 თებერვალი, 2026 წელი.

თავმჯდომარეობდა: ვლადიმერ სიხარულიძე.

ესწრებოდნენ: მარიტა მგალობლიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, აკაკი ყაჭეიშვილი, გოჩა ჯიქია, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია კუტუბიძე, ნოდარ ცხომელიძე, ლაშა თოლორდავა, კობა კალანდაძე.

არ ესწრებოდა: დავით მინდაძე, დავით შარაშიძე, ლაშა სხვიტარიძე.

მოწვეული:

მაია პაიჭაძე - მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ვალერი ყაჭეიშვილი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი;

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ვლადიმერ გოგიბერიძე - მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი;

ნიკოლოზ დუმბაძე - მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი;

ნათია ცინცაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო საკითხებში;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

ანგარიში 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

3. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

5. ინფორმაცია მიმდინარე წლის იანვრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის

ქონების მართვის განყოფილების უფროსი

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მაია პაიჭაძე

მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

3. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

5. ინფორმაცია მიმდინარე წლის იანვრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

I საკითხი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის

ქონების მართვის განყოფილების უფროსი ვალერი ყაჭეიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

II საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მაია პაიჭაძე

მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ა(ა)ი.პ-ებში შესყიდვების კუთხით არის პრობლემები, დიდი ალბათობით, შესყიდვები არ ტარდება პროცედურების დაცვით. ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები მოხელეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გთხოვთ, რეკომენდაციებში გაითვალისწინოთ კადრების გადამზადება შესყიდვების მიმართულებით.

მაია პაიჭაძე: ამ ეტაპზე, აუდიტის სამსახური ამოწმებს ორ სამსახურს, ეტაპობრივად იგეგმება ყველა სამსახურის შემოწმება. ამჟამად დებულებებში აღმოჩენილი ხარვეზები სწორდება.

ვლადიმერ სიხარულიძე: 6 თვის შემდეგ მოვისმენთ ისევ აუდიტის სამსახურის ანგარიშს, სადაც აისახება, რამდენად იქნება თქვენს ანგარიშში წარმოდგენილი აუდიტის რეკომენდაციები გათვალისწინებული.

მაია პაიჭაძე: ეს რეკომენდაციები, რაც ანგარიშში აუდიტის სამსახურმა წარმოადგინა, პირდაპირ მერის ქვემდებარეა და მისი გათვალისწინება მხოლოდ მერის პრეროგატივაა.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ და გადაწყვიტა, შენიშვნის გათვალისწინებით გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

III საკითხი: ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

3. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა:

ვლადიმერ სიხარულიძე: 2025 წლის მთავრობის N186 და N239 განკარგულებებით გამოიყო გარკვეული თანხები მუნიციპალიტეტებისთვის სტიქიით გამოწვეული ზარალის აღმოსაფხვრელად. გაცილებით უფრო დიდი თანხების მოცულობით ჩატარდა ტენდერი. რითაა გამართლებული ეს გადაწყვეტილება?

ვლადიმერ გოგიბერიძე: აღნიშნული შესყიდვა არის მრავალწლიანი და პერიოდულად სახელმწიფოსგან ველოდებოდით თანხებს, რაც ბუნებრივია, ფინანსთა სამინისტროსთან იყო შეთანხმებული.

ვლადიმერ სიხარულიძე: თქვენს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, გთხოვთ, ბიუროს სხდომაზე წარმოადგინოთ, 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულება შესაბამისი ცვლილებებით, რის საფუძველზეც ჩატარდა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის ტენდერები 2 538 908.83 ლარის შესყიდვაზე. შესაბამისად, წარმოადგინეთ, დადებული 7 ხელშეკრულება აღნიშნულთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

IV საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

<u>მოისმინეს :</u>

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

V საკითხი: ინფორმაცია მიმდინარე წლის იანვრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

5. ინფორმაცია მიმდინარე წლის იანვრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა:

ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელმაც კომისიის სახელით მადლობა გადაუხადა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს მაია გოგოლაძეს, ნაყოფიერი და წარმატებული მუშაობისთვის.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ინფორმაცია მიმდინარე წლის იანვრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

VI საკითხი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი